



1964

ВОСХОД

ქართული
ბიბლიოთეკა

47

ნახ. თ. სასოსანიძე.

ოქტომბრის კავალუციის
ორმოცდაშვიდი წელია,
გამარჯვებისთვის ურომითი
გმირობით მიგვიღწავია
და უმეოღგომა ქართული
ღიმილით ფანტავს ოქროს ფერს.
ქლევამოსილი სამსოზლო
უმღერის ღიად ოქტომბერს.

№ 20 თბილისი ოქტომბერი 1964

ნენე

გამოცემის 42-ე წელი. ფასი 20 კპვ.



ძველთაგანვე ყოფილა ჩვენს ქვეყანაში, რომ არაფრის მაქნის, ავყია და უგერგილო კაცს საქვეყნოდ გაკიცხავენ, თავსაფს დაასხამდნენ. კარგია, რომ ეს ფრიად სასარგებლო წესი დავიწყებას არ მივცა და დღესაც ქუჩებში, დაწესებულებების წინ თუ საზოგადოებრივ შეკრების ადგილას ხულიგნებს, ქორვაჭრებს, ცხოვრების ხორცმეტებს ხან შოლტავენ, ხან ამათრახებენ და ხანაც კოპს დაასვამენ თავზე.

ეს ძალიან კარგია. მაგრამ, ბოლო დროს, ტროლეიბუსშიც გამოჩნდა ამ „ვაი-ვაჟაკ-ცთა“ ნირწამხდარი სურათები. ზოგი უბილეთოდ მგზავრობს, ზოგი თამბაქოს აბოლებს, დებოშს ტეხს და, მოკლედ, ათასნაირად არღვევს დადგენილ საზოგადოებრივ ნორმებსა და წესებს. ასეთი მგზავრების გასამათრახებლად ახლახან შეიქმნა ლიტერატურის ახალი ჟანრი, რომელსაც ჩვენ „ტროლეიბუსურ პოეზიას“ ვუწოდებდით. ამ ჟანრის დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ ერთ სტროფში „მახვილად“, ყოველგვარი დამატებებისა და ახსნა-განმარტების გარეშეა გადმოცემული მთელი ის დანაშაული, რაც ჩაიდინა უწყეს მოქალაქემ.

აი, მაგალითიც:

„თვითონვე გიკვირს რომ ხელში
აღმოგიჩინეს თამბაქო,
მეორედ აღარ გაბედავ
უარი რომ თქვა არ მაქო“.

შესანიშნავია, პოეტის მახვილ თვალს შეუმჩნევია, რომ მოქალაქე ტროლეიბუსში პაპიროსს აბოლებდა, შენიშვნა მისცეს, მან უარი განაცხადა, დამალა, წკიპურტით გაისროლა გაღებულ ფანჯარაში, ან, უკიდურეს შემთხვევაში, პირში შეიტრიალა „პრიმის“ ნაწივი (ამ შემთხვევაში, ხმამაღლა ვერ განაცხადებდა, მაგრამ, სა-მაგიეროდ, თვალებს დაქაჩავდა და ხელს გააქნევდა... „არ მაქო!“). ბოლოს და ბოლოს, ამან ვერ უშველა უწყესოს, თამბაქო მაინც აღმოუჩინეს და პოეტი გამარჯვებული ადამიანის სამართლიანი სიამაყით მიმართავს:

„მეორედ აღარ გაბედავ
უარი რომ თქვა არ მაქო“.

სიტყვა „თამბაქოც“ შესანიშნავადაა გართმული, — დიდი გემოვნებითა და ქართული ენის ინტუიტური ცოდნითაა მონახული სიტყვათა შეთანხმება — თამბაქო — არ მაქო. (აღორძინების ხანის რომელი პოეტი არ გასკდებოდა შურით გულზე...).

გავყვეთ პოეზიის ამ ახლად ამოვარდნილ ვრიგალს და ტროლეიბუსს შემდეგ გაჩერებამდე:

„არ აუღია მის დღეში (ტიქტი დაცულია)
რადას იქეპავს ჯიბეში“.

რა ლაკონურად, მოკლედ არის გამოთქმული უსარმაზარი აზრი — თურმე კაცს მთელი თავისი სიცოცხლის უგრძეს მანძილზე არ აუღია მისდღეში, მაგრამ ახლა ჯიბეებს იქეპავს, ვითომ ყოველთვის ვიღებ და ყოველთვის მეკარგებაო. მაგრამ ეს გამოეპარება პოეტის მახვილ თვალს? და, რაკი არაფერი ემალება მის ყოვლისმხილველ მზერას, ამიტომ პოეტი განაგრძობს:

„რა ვაკვირვებით გვიუბრებ
ვაუკაცი ომანიანი
ბილეთის გასინჯვის დროსაც
აღმოჩნდე ბილეთიანი“.

ვაჟაკობა და ომანიანობა კარგიაო, — ამბობს პოეტი, მაგრამ ბილეთი რომ არ გაქვს, რას იჯგიმებიო! სტადიონზე უბილეთოდ შესვლა კიდევ ვაჟაკობაა, ისიც თუ მოსკოვის „დინამოს“ ან „ტორპედოს“ ვეთამაშებით, მაგრამ ტროლეიბუსში უბილეთოდ მგზავრობა, აბა, რა ბედნააო. — პირდაპირ ქვეტექსტად იკითხება ეს აზრი ამ ლექსის წაკითხვის შემდეგ. აი, პოეზია, ერთს კითხულობ და ათას რამეს იგებ!

ერთი რამე კი ვერ მოსვლიათ ცოტა კარგად ხელოვნების ამ ახალი დარგის მეცენატებს: ტროლეიბუსის კარებზე ან უკან ჩამოკონწიალებულმა ახალგაზრდებმა როგორ უნდა წაიკითხონ ეს ფასდაუდებელი შეგონება:

„ახალგაზრდებო, ჩვენ თქვენნი
იმედი მუდამ გვქონია.
ტროლეიბუსში მგზავრობა
თქვენი ურემი გგონიათ?!“

რად უნდოდა განსვენებულ ჟან-ჟაკ-რუსოს იმხელა ტრაქტატი ახალგაზრდობის აღზრდის შესახებ? აი, შედეგრი! არ გეგონოთ, რომ პოეტს ახალგაზრდა თაობის იმედი არ ჰქონდეს. მას ყოველთვის აქვს მათი იმედი და ყოველთვის ჰქონია. მხოლოდ ეს არის, რომ ტროლეიბუსში მგზავრობა მათ ურემი არ უნდა ეგონოთ. ტროლეიბუსი — ტროლეიბუსია!

და, ბოლოს, ნიანგს მეტი რა დარჩენია, რომ „მოიქექოს“ ჯიბეები და პატარა ბარათი მისწეროს ამ ახალი პოეზიის მიმდევართ:

„იქნება ტოლ-მეგობრებში
ვინმემ შეგარქვათ „ანგალი“,
მაგრამ გახსოვდეთ მარადღამს
ნიანგის ბასრი ჩანგალი.“

ზ. აბაჯანიძე

ნ.ბ. ა. კანდელაკისა.



— რა ღირს ეგ ძროხა?
— 300 მანეთი
— რა ამბავია, კონიაკს იწველის?

ქართული ანდაზები ზომ-ზომთა გეგებიტ

△ ღვინით გალახულს ჯოხით გალახული ჯობიაო, — თქვა ცოლმა და მთვრალ ქმარს ჯოხი დასცხო.

△ ქურდთან რომ გაივლი, შენც ქურდს დაგიძახებენო, — შენიშვნა საწყობის გამგემ და მალაზიის ნოქარს ლამემშვიდობისა უსურვა.

△ ჩათრევას ჩაყოლა ჯობიაო, — თქვა რევიზორმა და ბუღალტერს „დარიალში“ ჩაჰყვა.

△ შორი გზა მოიარე, შინ მშვიდობით მოდიო, — გაახსენდა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს და პირუტყვების საზამთრო სადგომს შორიდან ჩაუარა.

△ წყალი რომ დაგუბდება, აყროლდებაო, — მოავონდა ღვინის საწყობის გამგეს და ოჩკანი ღვინის კასრისავენ მიუშვა.

ი. კუპრაშვილი საესპრალო ნომერი

— ეს რა ნომერი შეასრულა ამ მსახიობმა?

— არია ოპერიდან.
— რომ არია, მეც ვხვდები.

ა. ბასილიანი

მანგლისი კანტონი

მანგლისში ხმა დაირხა: ჩვენი აბანო პატარაა, ძველია და ახალი უნდა გაკეთდესო.

გაკეთდითო, თქვეს მანგლისელებმა. და, რახან უფულოდ არაფერი კეთდება, აიღეს და თეთრი წყაროს სამშენებლო-სარემონტო კანტორას გადაურიცხეს ფული.

1962 წლის ბოლოს მოდერნიზებული აბანო გეგმებთ, — დაიბედა თეთრი წყაროს კანტორამ მანგლისელები.

მანგლისელების სიხარულს ბოლო არ უჩანდა. მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა, მანგლისელები უაბნოდ, ესე იგი, ალგეთის ამარა.

სამაგიეროდ, მომრავლდა მიმოწერები, ფარატინა ქალაქის ფარატინა ქალაქი ცვლიდა. და საქმე მაინც უცვლელი რჩებოდა: მანგლისელები ალგეთში იგრილებდნენ გაცხელებულ გულს და ელოდნენ.

მაგრამ არ იქუხა მოუწმენდელ ცაზე. ურწმუნოების ჯინაზე დაიწყო მანგლისის აბანოს მშენებლობა.

რახან დაიწყო, აწი მაინც იმედია საქმე ალჩუზე დაჯდებაო, იმედოვნებდნენ მანგლისელები, რამეთუ ყოველი საქმის დასაწყისი ძნელიაო.

აკეთეს, აკეთეს, მაგრამ ბოლომდე ვერ გააკეთეს და უარი თქვეს სამუშაოს დამთავრებაზე.

მანგლისის სადაბო საბჭომ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სამშენებლო-სარემონტო ტრესტში აფრინა დებეშა: თეთრი წყაროს სამშენებლო-სარემონტო კანტორა აბანოს მშენებლობის დამთავრებაზე უარს ამბობს და გვიშველეთო.

ტრესტმაც იუარა: „მანგლისის აბანო-სამრეცხაოს მშენებლობა სამშენებლო-სარემონტო ტრესტის წლებადნულ გეგმაში არ არის ჩასმული, ამიტომაც თეთრი წყაროს სამშენებლო-სარემონტო კანტორა ვერ ჩაატარებს ამ სამუშაოებს“-ო.

მანგლისში არ არის ახალი აბანო. მანგლისის აბანოს მშენებლობა არ არის გეგმაში.

მანგლისში არის მდინარე ალგეთი. მანგლისელები არიან ალგეთის ამარა.

თეთრ წყაროში არის სამშენებლო-სარემონტო კანტორა.


მანგლისელები უკმაყოფილონი არიან ამ კანტორის.

თეთრი წყაროს სამშენებლო-სარემონტო კანტორაში ამბობენ, ჩვენ რაში გვეკითხება, მანგლისელებს აბანო აქვთ თუ არაო.

მანგლისელები კი ამბობენ, თეთრ წყაროს სამშენებლო-სარემონტო კანტორას მოკითხოს ღმერთმა ჩვენი ცოდვაო.

ღიახ, არ არის მანგლისში ახალი აბანო და არიან მანგლისელები ალგეთის ამარა.

ჟინტორა ზანაფალაზვილი



თბილისის ზოგიატო ქუჩაში

— მეც რომ შენსავით ფიცარი წამომედო. ქუჩებში თხრილებზე, გადასასვლელად, ეს ამბავი არ დამემართებოდა!

იყოს და არა იყოს რა, თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა ოქროს მედლებზე უკეთესი რა იქნებოდა, იყო ღვინო გაწყალებული და ღმერთი ჩვენი მწყალობელი.

სოფ. გურჯაანში იყო შალვა ზარდიაშვილი. თავის სიგრძე სანთელი აუნთო კოლმეურნეობის თავმჯდომარეს — „მიშველეთ, ფიზიკური შრომა არ შემძლია, სავაჭრო წერტში მიმიღეთ“.

კოლმეურნეობის გამგეობამ გაშალა მფრინავი ხალიჩა და შ. ზარდიაშვილი გააფრინა სოფ. მარტყოფში. გურჯაანელმა შალვამაც გაშალა სარეალიზაციო პროდუქტებით მუშაობა და „გუშინ შვიდნი გურჯაანელნიც“ შემოსძახა.

მაგრამ ეს ერთი გურჯაანელი შვიდსა ჯობდა, არც ტყეში მიდიოდა ტახზე სანადიროდ, არც ისარი უსროლია, ტახსაც უწვალებლივ შოულობდა, ბატკანსაც და კაიკაი დვდლებსაც, არც მონაკავშირის წვერი იყო.

გააჩაღა მუშაობა მარტყოფში, შემოზიდა ღვინოები, ზოგი ნატურალური, ზოგი წყლიანი. ეს ღვინო რას ნეყოფათ, თქვა შალვამ, ასტა, დასტა და სოფ. ბაკურციხეს უცა.

— რომელი ხართ ქრისტიანი, ღვინო ვისა გაქვთო?

— გ. ქრისტესაშვილს აქვსო.

— 360 ლიტრი მომეცი კასრიანად, ნისიად და ღვინის ჭურჭელს ფულთან ერთად დაგიბრუნებო.

აილო კასრი შალვამ, შეაგორა მანქანაზე დაადგა სოფ. ანაგის გზას.

იარა, იარა, ცხრა მთა გადაიარა, შეგვდა ა. დოროყაშვილი. 3600 ლიტრი ღვინო იმასაც „ნისიად“ გამოსცანცლა და ისიც ყინულზე დაწერა.

გაშალა ჯადოსნური მფრინავი ხალიჩა და ახლა სოფ. ხაშში მიფრინდა. იქაც გაუსინჯა ჭაშნიკი.

— ეს შაქარა ღვინო ვისიანო?
— გ. მწარიაშვილისააო.

„მოდი, ამასაც გავამწარებო“, — გაიფიქრა შალვამ და 1220 ლ. ღვინო გამოსტყუა.

წერტში გაყიდული ღვინის ფული არავის შემოსავალზე არ იწერებოდა. რაღა ბანკში შევიდეს, არ ჯობია, ჩემს ჯიბეში ჩავიდესო.

ამ დროს, სად იყო და სად არა, მოვიდა უხილავი ჯადოქარი, შალიკოს წერტი დალუქა, ყური მაგრად აუწია და პანდურიც უთავაზა.

— რას მედავებით, ღვინო ხალხისგან მომქონდა, მე ვიცი და იმათ, ხალხის მსახური ვარო. უვარგის ღვინოს ვუსაღებდი, ჭიმიაც მოვიშველიე, შაქარზე ვაყენებდი წყლიან ძმარსო. ალაღმართალი ვარო.

არავინ არ დაუჯერა შალვა ზარდიაშვილს. ისიც არ უთხრეს — „გაიზარდე დიდი ბიჭიო“. კასრები ჩამოართვეს და მისცეს ერთი ჭიქა ცივი წყალი.

წერტიდან გამოიყვანეს და ცხრა კლიტულში შეიყვანეს, გასაღები ახლაც მიღიციას აქვს.

ვასო ხვალაძე
მართლოს ხანჯალაძე

ნიანა



ფოტოაკაკობით

ვარჯიშობა ბარშიც შეიძლება და მთავარია, სამთო ვარჯიშობას მთა ესაჭიროება, როგორც ასეთი, და არის ასეთი მთა ბორჯომის პლატოც.

კურორტის თავკაცების მზრუნველობის შედეგად, იქ სავარჯიშო ბილიციცაა გაკეთებული და, მოვარჯიშეთა დასასვენებლად, კაპიტალური სკამებიცაა დადგმული.

მაგრამ ვაი-მოვარჯიშეთა, საზოგადოების აბუჩად ამგდებთა, ვერც წოდებულ, „ვაჭაკცთა“ ღირსეულ წარმომადგენლებს თავიანთი კუნთების ძლიერობისთვის სკამებთან ჭიდილში გამოუჩინიათ და ჩატარებულ ვარჯიშობათა სათანადო ნაკვალევი დაუტოვებიათ.

სკამებისათვის ფიცრები უძერიათ და უძერიათ და უფსკრულისაკენ გადაუახებიათ.


ახლა რაც დანერგულია, შეკეთება თუ უშველის მხოლოდ, მაგრამ, ჩვენი სურვილია, მომავალში, ფიცრების დამბრობებს კბილის დამბრობებიც მიუჩინოს.



ამა წლის ივნისში ტერევერკოს ქუჩაზე დაიწყო გათხრები, თხრიდნენ აქეთ, თხრიდნენ იქით, თხრიდნენ ყველა მიმართულებით, ეძებდნენ რაღაცას და განაგრძობდნენ ძიებას.

იქვე მდებარე 130-ბინიანი სახლის მცხოვრებლები ცნობისმოყვარე თვალებით უცქეროდნენ დაუცხრომელ მუშაკთა ლაბირინთულ თხრას და შიშობდნენ, ვაითუ რაიმე საბადო აღმოჩნდეს ჩვენი სახლის ქვეშ და სხვაგან გადაბარებამ მოგვიწიოსო.

გამოუთხარეს გვერდი სახლს, წაქცევას თითქმის არაფერი უკლდა, როცა გამოირკვა, რომ „გეოლოგიურმა“ ძიებამ ვერაფერი შედეგი ვერ გამოიღო. თურმე ნუ იტყვი, არც საბადოს ეძებდნენ ისინი, არც ისტორიულ ძეგლს, არც მეტს და არც ნაკლებს, ეძებდნენ გაზის მილს, სწორედ ზემოხსენებულ ცნობისმოყვარე სახლთან შესაერთებლად.




ბათუმელებს ბევრი რამ გვაქვს საამაყო — ჩვენი ჩაი, ციტრუსები, შრომის მოწინავე ადამიანები, რომლებმაც წელს ჩვენი მთავრობის მილოცვა დაიმსახურეს.

გვაქვს ზღვაც ისეთი, რომ ჩვენი დიადი ქვეყნის ყოველი კუთხიდან ჩამოდინ, რათა დაისვენონ და დატკბნენ ჩვენი მშობლიური ქალაქის სიმშვენიერით.

აქო და შავი ზღვა როგორ იკმარებსო, — გაიფიქრეს ჩვენი ქალაქის კომუნალური მეურნეობის მესვეურებმა და გურამიშვილის ქუჩის შესასვლელში სახელდახლოდ შექმნეს, ყოველგვარი შრომისა და ჯაფის გარეშე, მხოლოდ იხვების გულგასახარად, როგორც სურათზე ხედავთ, დამატებით „ზღვა“. იცოცხლეთ, იხვეთ თავს ბედნიერად გრძნობენ, მხოლოდ ჩვენი ამ ქუჩის მაცხოვრებლები ვართ ვაჭამებულნი გზის უქონლობის გამო, გინდ დარი იყოს, გინდ ავღარი.

რამდენჯერმე ვთხოვეთ ბათუმის საქალაქო საბჭოს — ან ქუჩა გაეკეთებინა, ანდა დიდი ზღვიდან პატარა „ზღვაში“ გადმოეყვანა რამდენიმე სკინერი, რათა ჩვენს ქუჩას ოდნავ მაინც შეესრულებინა თავისი მოვალეობა. მაგრამ რა დეკარგვია და რას ეძებ!



ვაჭა ფშაველას პროსპექტი სიამაყეა თბილისის ქალაქის და მას გაზონებიც ამშვენებს. ეს, რა თქმა უნდა, კარგიცაა და მისალოციც.

მაგრამ ვინც ეს გზები მიიყვანა პროსპექტამდე და ვინც ეს გაზონები გააშენა, რატომ არ იფიქრა, რომ, გზა თუ გაზონს მიაღწა, მზავარი (ვერ ვიტყვით უკუღმართობის გამო, თუმცა ესეც რომ გვეთქვა, არც ამით დაშავდებოდა არაფერი) გაზონს გვერდს კი არ აუვლის, გადაუვლის და, მასასადამე, გათელავს და გააფუჭებს, რადგანაც ყოველ მზავარს, მეტ-ნაკლები, მაგრამ მაინც განსაზღვრული წონა გააჩნია.

იქნება ვინმე იფიქროს ამაზე და, ვეიერ ვ. პეკინის ქუჩაზე რომ გაჭრეს გაზონების გადასატრეული ბილიკები, აქაც ისეთები გაჭრას.

ჰოდა ასე, თუ ამ მითითებამ გაჭრა, გაჭრიან, ალბათ.



ნუ გაცდებით, ამას რომ შეგედავთ, შეგედეთ მშვიდი, წყნარი, აუღელვებელი თვალებით, რადგანაც ეს სულაც არაა საოცრება, სულაც არაა ბუნების სასწაული, სულაც არაა სტიქიური უბედურება, სულაც არაა ვულკანი, ვეშუვი, ეტნა, არაა, არა და არა.

მამ რაა, იციოთავთ თქვენ.

ახლავე მოგასწავნებთ. ესაა ადამიანის ხელით გაკეთებული სავაჭრე მილი, სასტუმრო „ბორჯომის“ პირდაპირ მდებარე რძისა და ხორცის კომბინატის საქაბიდან ცალ იმისათვის ამფერილი, რომ ბორჯომის, ასე ვთქვათ, გამჭვირვალე, გრილი და მაცოცხლებელი ჰაერი გააშავოს, გააწმაროს და გააშუროს, ნაკლებ ზღაპრულ-ჯადოსნული და ნაკლებ მაცოცხლებელი გახადოს.

საკითხავია, ვინ მივიდა იმ დასკვნამდე, ვისი ყოვლისმხედველი გონება ჩაწედა იმ „ქეშმარიტეზას“, რომ იქაურ ჯადოსნურ ჰაერს კვამლში განზავება ესაჭიროება? ეშველება რამე?

როგორ არა, ადგილობრივი ხელმძღვანელობისა და კომბინატის ხელმძღვანელობის წინადადებებს ყური რომ მიუგდონ ვისაც ეს ესება, დიასაც რომ ეშველება. როგორც ამბობენ, გეგმაშიაცაა შევლა მაგრამ როდის? პეტრეს მოსვლამდე პავლეს ტყავი ხომ არ გაძვრება, თუ იცით!



გურჯაანის რაიონის სოფელ მუკუნის დამამშვენიებელი „ეს შენობა ადრე არსებულმა კოლმეურნეობამ წამოიწყო, ხალხს სურვილი აქვს, რომ კულტურას დაეწყო და დაეწყო, კულტურის სახელი აგუმენოთო. გადაწყვიტეს ეს და შეუდგნენ შენობას, ამოიყვანეს შენობა და, სწორედ ამ დროს, კოლმეურნეობა საბჭოთა მეურნეობად გადაკეთდა.

ხალხის სურვილი ისევ სურვილად დარჩა, კულტურის წყურვილი წყურვილად, ახლანდელი საბჭოთა მეურნეობის მუშები ხომ იცივენ გუმინდელი კოლმეურნეები არიან, მათ ისევ ისე სჭირდებათ კულტურის სახლი. მაგრამ საბჭოთა მეურნეობის შესვეურებმა თითქმის არ გაანძროს შენობის დასასრულებლად მოცლილი ხომ არა შართო.

ზოგიერთმა გონებაგახსნილმა და ტყუამახვილმა კლესმა დაუმთავრებელი შენობა საჯინიბოდ გამოიყენა, სულ ერთია, ისე არაფერ სარგებლობას არ იძლევა და ასე საქონელს მაინც ავარიდებთ ქარსა და ქარამოტსო.

გამორჩდება ვინმე გულშემატკივარი და მიიყვანს ბლომდე ამ შენობას?

ქსენოფონი შენიშვნები


— აბა, ახლა ჩვენს ფილოსოფოსს მოვუსმინოთ, — ღიმილით სთქვა უფროსმა და ისე შემომხედა, თითქოს ალავერდი გადმოვიდა ჩემთანო. თათბირის მონაწილეთა შორის ჩურჩული ატყდა. ყველამ იცოდა, რომ ფილოსოფოსის ტიტული ირონია იყო ჩემდამი, როგორც არასპეციალობით მომუშავე პიროვნებისადმი.

გულახდილად რომ ვთქვა, ბებიებისა და ბაბუების წყალობით მოვხვდი ამ სამუშაოზე, რომლისაც მე არაფერი გამეგება და, ჩემი კეთილისმყოფელთა მაგივრად, ყოველდღე მიხდება უფროსების წინაშე გაწითლება.

გუშინ რამდენიმე კოლმეურნეობა შემოვიარე მელორეობისა და მეფრინველეობის ფერმებში ზამთრისათვის მზადების შესამოწმებლად. კაცმა რომ თქვას, გაოცებული დავრჩი. ასეთი რამ ჩემს დღეში არ მინახავს. მეფრინველეობის ფერმები ნამდვილი ფაბრიკები გამხდარან. უთვალავი ქათმები რომ ვნახე, პირველად ის გავიფიქრე, ამდენ ტაბაკას ვინ შეჭამს-მეთქი. მელორეობის ფერმიდან წამოსვლა აღარ მინდოდა, რადგან, სხვა საკითხებთან ერთად, ასეთ სუფთა ფერმაში გაზრდილი გოჭის ხორცის გემომაც დამაინტერესა, რაც პრაქტიკულად შევამოწმე.

აღარ მახსოვს რომელ საათზე მიმიტანეს სახლში, დილით კი ადრე ავდექი, რადგან დღევანდელ თათბირზე უფროსისათვის უნდა მომეხსენებია გამორკვევის შედეგები. ახლა, როცა პარმენ დარისპანოვიჩმა (ჩვენი უფროსია) საზეიმოდ გამოაცხადა „ფილოსოფოსს მოვუსმინოთ“, სასწრაფოდ წამოვხტი და ჯიბიდან შავი ღვინით შეღებილი ქაღალდის ნაფლეთები ამოვიღე. მინდოდა, ფერმების მიერ მოპოვებულ წარმატებების აღნიშვნასთან ერთად, კონკრეტულად ჩამომეყალიბებინა არსებითი შენიშვნები.

პირველად ჩემი რისხვა მეფრინველეობის ფერმაზე გადავიტანე და კადრების მთლიანი გადახალისება მოვითხოვე.



— რას გავს ეს? — ავუწიე ხმას. — განა შეიძლება მეფრინველეობის ფერმის გამგედ ქორიძე იყოს, მთადგილედ ბუაძე, რომელსაც დღისით ყოველთვის ძინავს, ღამით კი ქეიფს უნდება, ხოლო მონგარიშე-აღმრიცხველად მიმინოშვილი?!

დარბაზში უჩვეულო სიჩუმე ჩამოვარდა, რაც ჩემი შენიშვნების დადასტურებად ჩავთვალე და კიდევ უფრო რიხიანად განვაგრძე: — ერთი მითხარით, რა გავგიჭირდა ამის ფასი, არ გეყავს ხალხი თუ? მაგალითად, კარგი იქნებოდა მამალაძე დაგვენიშნა ფერმის გამგედ, ქათამაძე მოადგილედ, წიწილაშვილი მონგარიშე-აღმრიცხველად. თათბირის მონაწილეთა შორის აქა-იქ სიცილის შადრევანმა ამოხეთქა, მაგრამ მე ამისათვის ყურადღება არ მიმიქცევია და ჩემი არსებითი შენიშვნების ცეცხლი მელორეობის ფერმაზე გადავიტანე, მიუხედავად გუშინდელი ზღაპრული პატივისცემისა.

— ერთი ნახეთ ვინ ხელმძღვანელობს ამ ფერმას, — წარმოვთქვი აღელვებით, — საოცარია, ვინ შეარჩია ასეთი სამეული: ფერმის გამგე — ლომიძე, მოადგილე — მგელაძე, მონგარიშე-აღმრიცხველი — ვეფხვაძე, სხვას რომ თავი დავანებოთ, რას იტყვის ხალხი?! მე თუ მკითხავთ მელორეობის ფერმის გამგედ ირემაძე უნდა დანიშნოს კაცმა, მოადგილედ — ცხვარაძე, მონგარიშე-აღმრიცხველად — კურდღლაშვილი. მე შენ გეტყვი, მისვლა-მოსვლა და სირბილი ეზარება თუ?!

დარბაზში ისეთი სიცილი ატყდა, რომ კედლებიდან ბათქაშმა დაიწყო ცვენა. რატომღაც, ჩვენი უფროსი არ მონაწილეობდა ამ მხიარულებაში, დაღონებული იჯდა მაგიდასთან, თავზე ხელი ჰქონდა შემოდებული და ღრმა ფიქრებში იყო წასული. დავიჯერო, მართო მას არ მოეწონა ჩემი არსებითი შენიშვნები?!

ნ. ნუკრიძე

ოქტომბრის დასაწყისში ჩვენს რესპუბლიკაში უდიდესი ზეიმით ჩატარდა უკრაინული ლიტერატურის დეკადი. ამ ღირსშესანიშნავ დღეებში საქართველოს ეწვივნენ ძვირფასი უკრაინელი სტუმრები, უკრაინელი ხალხის საბელოვანი შვილები, დიდებული უკრაინული ნწერლობის საუკეთესო წარმომადგენლები. საპატიო სტუმრებს შორის იყო პოეტი ოლექსა ნოვიციკი, რომელიც არის ორტომიანი ანთოლოგიის „ქართველი ხალხის პოეზიის“ შემდგენელი, მთარგმნელი და ერთ-ერთი რედაქტორი.

წელს, დაბადებიდან 50 წლის შესრულების გამო და ქართული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების თარგმნისა და უკრაინაში პროპაგანდისათვის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ო. ნოვიციკი დააჯილდოვა საპატიო სიგელით.

„ნიანგი“ ბეჭდავს ო. ნოვიციკის მეგობრულ შარჟს და მის ლექსს.

მეგობრული შარჟი ბ. ფირცხალავასი



დნეპრთან — ოლექსა
მტკვართან — ალექსი

ქართველ მგოსანთა მშვენიერ ლექსებს უკრაინული ენა ვასწავლედ და უკრაინის ველებზე, გზებზე ვთესავ ქართული მიწის ვარსკვლავებს. ვანა სიბერის კართან მოვედი? კვლავ სიყვარული მაქვს გასალექსი! ვარ თქვენი ძმა და თქვენი პოეტი, დნეპრთან — ოლექსა, მტკვართან — ალექსი. უკრაინულიდან თარგმნა თ. ჯანაშვილაშვილმა



რედაქტორი ნ. შველიძე.

სარედაქციო კოლეგია: ნ. დუმბაძე, ხ. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, ო. ჰელიძე.

საქ. კბ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Ниянги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის — 9-76-69, საერთო განყოფილების — 3-10-49

ხელმოწ. დასაბ. 17/X-1964 წ. ქალ. ზომა 70x108 18, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5, პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. საქ. კბ ცკ გამომცემლობის სტამბა № 1. ლენინის ქ. № 14. შგვ. № 2764. ჟე 12055. ტირაჟი 40000

ნან. ბ. ლომიძისა



„თხეზმა“ შეზამეს გიუჯაბი.

საფრანგეთის სამხედრო ასიგნობანი მომავალი წლისათვის კვლავ გაზრდილია 5 პროცენტით. საფრანგეთის ისტორიაში პირველად გამაღებელი შეიარაღების ბიუჯეტი გადააჭარბებს 20 მილიარდს ახალი ფრანკით, ანუ 2000 მილიარდს ძველი ფრანკით.